#არჩევნები2017: საინფორმაციო ბიულეტენი #3
სექტემბერი, 2017 წელი

საიას სადამკვირვებლო მისიის შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო მონიტორინგი 1 ივნისს დაიწყო.

საია წინასაარჩევნო პერიოდს სათაო და რეგიონული ოფისების მეშვეობით, თბილისსა და საქართველოს 8 რეგიონში: აჭარაში, გურიაში, იმერეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთსა და სამეგრელოში აკვირდება.

მონიტორინგის მიზანს, რომელიც **USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“** ფარგლებში ხორციელდება, წარმოადგენს ხელი შეუწყოს:

ობიექტური, სამართლიანი, დამოუკიდებელი და ეფექტური გამოძიების, სამართლიანი სასამართლოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას და უზრუნველყოს ინკლუზიური და კონკურენტული საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა ქალების, შშმ პირებისა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. ასევე, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესების ხელშეწყობა, კერძოდ კი საქართველოს მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებულ დარღვევებსა და ტენდენციებზე და ყურადღების გამახვილება ხარვეზებზე, რომელიც თან ახლავს საარჩევნო პროცესებს. საარჩევნო კანონმდებლობაში პრობლემების იდენტიფიცირება და არჩევნების დასრულების შემდეგ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება.

დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში ორგანიზაცია შესაბამის ინფორმაციას თუ საჩივრებს წარადგენს საარჩევნო ადმინისტრაციაში, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორის კომისიაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა შესაბამის უწყებებში, კანონით გათვალისწინებული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით.

ბიულეტენში ასახულია ის ფაქტები, მოვლენები და დარღვევები, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ საარჩევნო გარემოზე. მასში მოყვანილი სავარაუდო დარღვევებისა და ფაქტების შესახებ ზოგიერთ ინფორმაციასთან დაკავშირებით საიას დამატებით აქვს გამოთხოვილი ინფორმაცია, რომლის ანალიზის შედეგებსაც, ასევე, გავაცნობთ საზოგადოებას. აგრეთვე, უახლოეს მომავალში, ორგანიზაცია საზოგადოებას წარუდგენს წინასაარჩევნო კონტექსტის და ამ პერიოდში განვითარებული მოვლენების თაობაზე პირველ შუალედურ ანგარიშს.

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში.

საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში „ჩარევა„VS „ხელშეშლა“

თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე მარინე ცერცვაძემ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო ლეიბორისტული პარტიიდან თელავის მერობის კანდიდატი ნიკოლოზ ვარდოშვილი და მას, ჯარიმის სახით, 500 ლარის გადახდა დააკისრა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ნიკოლოზ ვარდოშვილს თელავის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალმახელიძემ შეუდგინა. კალმახელიძე ვარდოშვილს საარჩევნო კომისიის მუშაობაში ხელშეშლას ედავებოდა. საქმე ეხება ა.წ. 7 სექტემბერს, ნიკოლოზ ვარდოშვილის მიერ თელავის საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფისში რამდენიმე თანაპარტიელთან და ჟურნალისტთან ერთად მისვლისა და კომისიის თავმჯდომარისგან განმარტების მიღების მცდელობის ფაქტს.

ნიკოლოზ ვარდოშვილი

საარჩევნო ადმინისტრაციამ ნ. ვარდოშვილს პასუხისმგებლობა *„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“* 911 მუხლის საფუძველზე დააკისრა, რომლის თანახმადაც, *„საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.“* აღნიშნული ნორმა საარჩევნო კოდექსს მიმდინარე წლის 26 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად დაემატა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების პრობლემურ ხასიათზე საია პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად კანონპროექტის გამოქვეყნებისას საუბრობდა.

განსახილველი საკითხის პრეცედენტული ხასიათიდან და გამოყენებული სამართლებრივი ნორმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნიკოლოზ ვარდოშვილის ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა.

თელავის საოლქო საასრჩევნო კომისიამ გააიგივა ტერმინები *„ხელის შეშლა“* და *„ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა“*, შედეგად კი, ნიკოლოზ ვარდოშვილის მიმართ გამოყენებულ იქნა არაპროპორციული და დაუსაბუთებელი ზომები.

იმ პირობებში, როდესაც ოქმის შემდგენმა ვერ დაადასტურა საოლქო საარჩევნო კომისიის რომელ ფუნქციაში ჩაერია ნიკოლოზ ვარდოშვილი ან რომელი გადაწყვეტილების მიღებაზე იქონია გავლენა სამართალდამრღვევად ცნობილი პირის ქმედებამ, საარჩევნო კოდექსის 91[1]-ე მუხლის გამოყენება დაუსაბუთებელია და თელავის რიაონულ სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი გაეზიარებინა საოლქო საარჩევნო კომისიის პოზიცია.

საიამ თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა საიას პოზიცია არც აპელაციამ გაითვალისწინა.

[1] http://bit.ly/2hQrt9P

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ნონა ზარქუამ, რომელმაც ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად სცნო „ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის“ წარმომადგენელი და მას, ჯარიმის სახით, 500 ლარის გადახდა დააკისრა.

საქმე ეხება, 2017 წლის 1 სექტემბერს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლის მიერ სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე ჟურნალისტებთან ერთად „შეჭრის“ ფაქტს. ცესკოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამტრედიის ოლქში „ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის“ წარმომადგენელმა და მისმა თანმხლებმა არაუფლებამოსილმა უცნობმა პირებმა საოლქო კომისიის სხომის დარბაზის კარი ძალის გამოყენებით გააღეს და ვიდეოკამარებით „შეიჭრნენ“. საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეს არის კარი, რომელიც ძირითადად დაკეტილია და აღნიშნული დარბაზი ოლქის მიერ გამოიყენება მხოლოდ საგანმანათლებლო-სასწავლო შეხვედრებისთვის.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქმედება სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ სწორად იყო შეფასებული, როგორც ფუნქციებში ჩარევა, რამდენადაც ამ შემთხვევაში დაირღვა კომისიის მუშაობის პროცესი.

სასამართლომ ამ შემთხვევაშიც გამოიყენა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 911-ე მუხლი და სამართალდამრღვევს 500 ლარის გადახდა დააკისრა.

თავდასხმა საარჩევნო შტაბზე

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ მოწოდებული და ამავე დროს მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 8 სექტემბერს ქ. თბილისში ვაკეში ნაციონალური მოძრაობის ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის კოტე იოსელიანის საარჩევნო შტაბზე თავდასხმა მოხდა. უცხო პირებმა შტაბს ქვები და აგურები დაუშინეს. "ნაციონალურ მოძრაობაში" აცხადებენ, რომ ეს იოსელიანის შტაბზე თავდასხმის უკვე მეორე შემთხვევაა.

საიას წარმომადგენლები პირადად შეხვდნენ კოტე იოსელიანს, რომელმაც მომხდარში ქართული ოცნება დაადანაშაულა. კოტე იოსელიანი იმედოვნებს, რომ სამართალდამცავები შეძლებენ პოლიტიკური პროცესებისაგან დისტანცირებას და დროულად დააკავებენ დამნაშავეებს.

საია აგრძელებს საქმეების მიმდინარეობის მონიტორინგს და საზოგადოებას განახლებულ ინფორმაციას წარმოუდგენს.

თავისუფლების უკანონო აღკვეთის სავარაუდო ფაქტი

მიმდინარე წლის 5 სექტემბერს ქალაქ თელავში გაიმართა პოლიტიკური პარტია ,,ქართული ოცნების“ კანდიდატების წარდგენა.

საიას ინფორმაცით, მოქალაქე ლალი კბილაშვილმა, რომელიც ამავე დროს პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატია, გადაწყვიტა დასწრებოდა კანდიდატების წარდგენის ღონისძიებას, შეხვედროდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს და მისთვის ეთხოვა დახმარება.

ლალი კბილაშვილი თელავში მიუსაფარ ძაღლებს უვლის და პატრონობს, რის გამოც მას ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად უპირისპირდება. მისი განცხადებით, მოსახლეობა მოწამლული საკვების საშუალებით ხოცავს მის ძაღლებს. ამ საკითხზე მას სურდა პრემიერ-მინისტრთან საუბარი, რათა აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში დახმარება ეთხოვა. როგორც მან საიას თელავის ოფისის თანამშრომლებს განუცხადა, ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, ის 5 სექტემბერს მმართველი პარტიის კანდიდატების წარდგენის ღონისძიებაზე მივიდა.

ლალი კბილაშვილის განმარტებით, მაშინ როდესაც იგი იმყოფებოდა სცენის უკანა მხარეს, მას მიაკითხეს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ჩასვეს პოლიციის კუთვნილ ავტომანქანაში. პოლიციელებმა მას განუმარტეს, რომ ხელმძღვანელი პირებისაგან მიღებული დავალების თანახმად, აუცილებელი იყო მისი დროებით ქალაქიდან გაყვანა, შეხვედრის ადგილისთვის მოცილება და შესთავაზეს რამდენიმე საათით მანქანით გასეირნება ქალაქის გარეთ. ასევე უთხრეს, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ დააბრუნებდნენ მას თელავში.

მისი განმარტებით, მას შემდეგ, რაც თავი დააღწია პოლიციის თანამშრომლებს, დარეკა ,,112“-ში, შესაბამისად, მასთან მივიდა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი, რომელთაც განუცხადა მის მიმართ კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ უკანონო ქმედებაზე.

,,112“-ში განხორციელებული ზარის საფუძველზე, 5 სექტემბერს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება. საქმეს იძიებს შსს-ს გენერალური ინსპექცია.

საია სწავლობს აღნიშნულ საქმეს და მიუთითებს, რომ სამართალდამცავების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებები შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. კერძოდ, უკანონო თავისუფლების აღკვეთა, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით.

აღნიშნული საქმის თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესწავლის მიზნით, საიამ უწყებათაშორის კომისიას მიმართა და შესაბამისი ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

საია აგძელებს საქმის მონიტორინგს და საზოგადოებას დამატებით ინფორმაციას წარუდგენს.

ქსელური შეხვედრები

12-14 სექტემბერს, საიას წარმომადგენლებმა ქსელური შეხვედრების ციკლი საარჩევნო სუბიექტებთან და მედიის წარმომადგენლებთან ზუგდიდში, ფოთში, ბათუმში, ოზურგეთსა და თელავში გააგრძელეს.

შეხვედრების ფარგლებში, საარჩევნო სუბიექტებს წარედგინათ პროექტის ძირითადი მიმართულებები, ყურადღება გამახვილდა სისხლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესწავლის საკითხსა და საარჩევნო დავების მონიტორინგზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ ინსტრუმენტის გამოყენება პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ. ასევე, შეხვედრებზე საუბარი იყო ინკლუზიურ გარემოზე, თუ რამდენად რეალიზდება ეთნიკური უმცირესობების, ქალთა და შშმ პირთა პოლიტიკური უფლებები.

შეხვედრის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტებმა შეაფასეს წინასაარჩევნო გარემო - თუ რამდენად თანაბარი, სამართლიანი და ინკლუზიურია იგი. რეგიონების მიხედვით მოხდა არაერთი პრობლემის ინიცირება, რომლის გადამოწმება საიას წინასაარჩევნო მონიტორინგის ფარგლებში უკვე მიმდინარეობს.

პროცესების გამჭვირვალობის, კანონდარღვევების გამოვლენისა და მათზე დროული რეაგირების მიზნით, მონაწილე მხარეები ინფორმაციის ურთიერთგაცვლასა და თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ. აღნიშნული შეთანხმება კი დროული და დადასტურებული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლობას მოგვცემს, შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მივცეთ ფაქტებს, კვალიფიციური კონსულტაცია გავუწიოთ ნებისმიერ მსურველს და დავიცვათ პოლიტიკური უფლებების რეალიზება საქართველოში.

საია, საქართველოს მასშტაბით კვლავ აგრძელებს შეხვედრების ციკლს საარჩევნო სუბიექტების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.

შეხვედრები USAID-ის პროექტის „საქართველოში კონკურენტული, სამართლიანი და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა 2016-2018 საარჩევნო ციკლისთვის“ ფარგლებში იმართება.

გენდერული კვოტის შესახებ კანონპროექტის საკომიტეტო განხილვები

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებმა გენდერული კვოტის შესახებ კანონპროექტს მხარი დაუჭირეს.

11 და 13 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციისა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტებმა გენდერული კვოტის საკანონმდებლო ინიციატივა განიხილეს, რომელიც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფმა (Task Force) 37 000-ზე მეტი ხელმოწერის შეგროვების შედეგად წარადგინა.

შეგახსენებთ, რომ საკანონმდებლო ინიციატივა გულისხმობს საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხორციელებას, რომლის მიხედვითაც, პარტიები და საარჩევნო ბლოკები ვალდებულნი იქნებიან საარჩევნო სია გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვით დააკომპლექტონ და სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატი წარადგინონ. იმ შემთხვევაში კი, თუ არჩეული წევრს რაიმე მიზეზით შეუწყდება დეპუტატის უფლებამოსილება, მაშინ დეპუტატის მანდატს იმავე სქესის რიგით მომდევნო კანდიდატი მიიღებს.

ვიმედოვნებთ, რომ საბოლოოდ, პარლამენტი მხარს დაუჭერს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის (Task Force) ინიციატივას და საარჩევნო კოდექსში განისაზღვრება სავალდებულო მექანიზმი, რომლის მიხედვითაც პარტიები ვალდებულნი იქნებიან წარმოადგინონ გენდერულად დაბალანსებული პროპორციული სია.

საია აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და უახლოეს მომავალში საზოგადოებას წარმოუდგენს კვლევას 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების გენდერული ანალიზის თაობაზე.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადდა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის წყალობით, რომელიც აშშ¬ -ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. საინფორმაციო ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას და შესაძლებელია არ გამოხატავდეს USAID– ის და აშშ– ის მთავრობის შეხედულებებს.

THIS NEWS LATTER WAS MADE POSSIBLE BY THE GENEROUS SUPPORT OF THE AMERICAN PEOPLE THROUGH THE UNITED STATES AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT (USAID). THE OPINIONS EXPRESSED IN THIS NEWS LATTER BELONG TO GYLA AND MAY NOT REFLECT THE OPINIONS OF THE DONOR.